



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/423

02 / აპრილი / 2019 წ.



KA000025744843419

უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდი: №04.01.03.873, №04.01.03.874, №04.01.03.876) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან და “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ” თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2/3 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 24 ოქტომბერს № 01/830 წერილით მომართა შ.პ.ს. „ვესტჰაუსის“ დირექტორმა მერაბ კუბლაშვილმა და ითხოვა ლარნაკას ქუჩაზე 241.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი № 04.01.03.873) მესაკუთრე სახელმწიფო, ლარნაკას ქუჩაზე 1019.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი № 04.01.03.874) მესაკუთრე შ.პ.ს. „ვესტ ჰაუსი“ და ლარნაკას ქუჩაზე 848.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი №04.01.03.876) მესაკუთრე შ.პ.ს. „ვესტ ჰაუსი“ არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტოგასამართი სადგურის დაგეგმარებისათვის არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება სამრეწველო ზონა 1- ით.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, სამშენებლო საქმიანობის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდას.

საქმისწარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ დასახელებული მიწის ნაკვეთი განთავსებულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში, რის გამოც ვერ განხორციელდება აღნიშნული პროექტი. ამდენად, შემოთავაზებული ინვესტიციის განსახორციელებლად, არსებულ უძრავ ქონებას ფუნქციური ზონის თვალსაზრისით უნდა გააჩნდეს სამრეწველო ზონა 1-ის სტატუსი.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა სასაწყობო და სამრეწველო ობიექტები, ბენზინგასამართი სადგურები, საბაჟო ტერმინალები და სხვა.

ამდენად, ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია ზემოხსენებული უძრავი ნივთების ზონის ცვლილება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ამავე, კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება.

ამდენად, დასაქმების ხელშეწყობის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მიზანშეწონილია უძრავის ნივთების ფუნქციური ზონის ცვლილება.

“ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ” თვითმმართველი ქალაქ-ფოთის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2/3 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკები.

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის № 59 დადგენილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ” თვითმმართველი ქალაქ-ფოთის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2/3 განკარგულებაში.

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს გამოსცემს საკრებულო.

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ჩატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება და საკრებულოს მიერ განხორციელდა დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის გეგმარებითი დავალების დამტკიცება (I ეტაპი), მიღებულ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N22/73 განკარგულება.

ამდენად, „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული წარმოების მე-2 ეტაპი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი- საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვბრძანებ:

მუხლი 1.

1. უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდი: № 04.01.03.873, № 04.01.03.874, № 04.01.03.876) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ-ფოთის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2/3 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით განხორციელდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე-<http://poti.gov.ge>, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებელი ქუჩა N12) საჯაროდ გამოაქვეყნოს ცნობა, უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდი: № 04.01.03.873, № 04.01.03.874, № 04.01.03.876) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2/3 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის ნიმუში:

ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ

- ა) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება- უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდი: №04.01.03.873, №04.01.03.874, №04.01.03.876) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის- ფოთის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2/3 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
- ბ) ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან და საკრებულოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებელი ქუჩა N12);
- გ) ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, გიორგი ჭანტურიას ქუჩა N3);
- დ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ეხება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის- ფოთის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2/3 განკარგულებაში ცვლილების შეტანას და უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდი: № 04.01.03.873, № 04.01.03.874, №04.01.03.876) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას;
- ე) ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადაა- ცნობის გამოქვეყნებიდან არაუადრეს- 20 და არაუგვიანეს-30 დღე;
- ვ) ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება აღნიშნული ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში.

თ) საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა ჩატარდება აღნიშნული ცნობის გამოქვეყნებიდან 21 დღეს, 2019 წლის 23 აპრილს, 15 საათზე (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12, პირველი სართული, ნიკო ნიკოლაძის სახელობის დარბაზში).


4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მონყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში.
5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მონყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა აღნიშნული ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით გაატაროს ყველა ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელმპტრონულად 

კონსტანტინე თოფურია